

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N15 - ელვა

1. ფიზიკური პირის მიერ შესაძლებელია ელვა ფულადი გზავნილის გაგზავნა ან/და მიღება საქართველოში მხოლოდ ბანკის შიდა ქსელში.
2. ფულადი გზავნილის გაგზავნა ან/და მიღება შეუძლია მხოლოდ ფიზიკურ პირს.
3. ელვას საშუალებით ფულადი გზავნილის გაგზავნა შესაძლებელია სერვისცენტრის, ინტერნეტ ბანკის, თვითმომსახურების ტერმინალის ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა საშუალებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
4. ელვას საშუალებით ფულადი გზავნილის მიღება შესაძლებელია სერვისცენტრში, ტელეფონ ბანკის, მობილ ბანკი, ინტერნეტბანკი, თვითმომსახურების ტერმინალის ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა საშუალებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
5. ტელეფონ ბანკის, თვითმომსახურების ტერმინალის, მობილბანკის, ინტერნეტბანკის საშუალებით ფულადი გზავნილის მიღებისას აუცილებელია ფულადი გზავნილის მიმღები ფლობდეს ბანკის ბარათს.
6. ელვა ფულადი გზავნილის გაგზავნა/მიღება შესაძლებელია ლარი, აშშ დოლარი, ევრო.
7. ელვა ფულადი გზავნილის მიღება დაშვებულია შესაბამისი ფორმით დამოწმებული მინდობილობის/რწმუნებულების საფუძველზე.
8. შესაძლებელია ფულადი გზავნილის დაბრუნება, რაც გულისხმობს გამგზავნისათვის ფულადი გზავნილის თანხის უკან დაბრუნებას, იმ შემთხვევაში თუ ფულადი გზავნილი ჯერ კიდევ არ არის განაღდებული მიმღების მიერ. ამასთან ფულადი გზავნილის დაბრუნების შემთხვევაში დაბრუნებას არ ექვემდებარება გამგზავნის მიერ გადახდილი საკომისიო.
9. გამგზავნი უფლებამოსილია მოახდინოს ფულადი გზავნილის რედაქტირება, რაც გულისხმობს ფულად გზავნილში მითითებული მიმღების სახელის და გვარის ცვლილებას, იმ შემთხვევაში თუ ფულადი გზავნილი ჯერ კიდევ არ არის განაღდებული მიმღების მიერ. ფულადი გზავნილის სხვა ნებისმიერი პარამეტრის ცვლილება საჭროებს ფულადი გზავნილის დაბრუნებას და ახალი გზავნილის განხორციელებას, რა დროსაც გამგზავნის მიერ გადახდილი საკომისიოს არ ბრუნდება.
10. ელვა ფულადი გზავნილის საკომისიოს ოდენობა დამოკიდებულია ფულადი გზავნილის თანხაზე და ვალუტაზე. აღნიშნულის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.bankofgeorgia.ge.